

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
სათათბიროს სხდომის
ო ქ მ ი № 13

31.10.2017

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 8

დღის წესრიგი :

1. სათათბიროს უფლებამოსილების ცნობის შესახებ (ნ. წერეთელი);
2. ფაკულტეტზე სტუდენტთა კონტიგენტის შესახებ (მ. მშვილდაძე);
3. ფაკულტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესახებ (გ. მჭედლიშვილი);
4. ასოც. პროფესორ მ. წვერავას მოხსენებითი ბარათის შესახებ (მ.წვერავა);
5. სასწავლო ლაბორატორიებთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);
6. სამეცნიერო სემინარებთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);
7. II და X სასწავლო კორპუსებში სტუდენტთათვის რეკრეაციული ზონის მოწყობა; (ნ.წერეთელი);
8. ავტორიზაციის მზადებასთან დაკავშირებით (მ. მაისურაძე)
მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის კონკურსიდან გამომდინარე, სათათბიროს ყველა წევრმა, შეინარჩუნა აკადემიური თანამდებობა და წამოაყენა წინადადება ეცნოთ ფაკულტეტის სათათბიროს უფლებამოსილება და სათათბიროს მდივნად დაასახელა პროფ. მ. მშვილდაძის კანდიდატურა.

სათათბირომ ერთსულოვნად სცნო თავისი უფლებამოსილება და მდივნად აირჩია პროფ. მ. მშვილდაძე.

2. მოისმინეს: პროფესორი მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ფაკულტეტზე ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სულ სწავლობს 1050 სტუდენტი, სამივე საფეხურის პროფესიულ სწავლებაზე 193, ხოლო დამატებითი სემესტრი აღებული აქვს 65 სტუდენტს. ანუ ფაკულტეტზე სტუდენტთა ამჟამინდელი კონტიგენტი ჯამში შეადგენს 1366 (თან ერთვის).

დაადგინეს: პროფ. მ. მშვილდაძის ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

3. მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან აღნიშნა, რომ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, სტუდენტთა კონტიგენტის შემცირებისა გამო, შემცირდა 130 288 ლარით და ფაკულტეტის განსაკარგი შემოსავალი ნაცვლად გათვალისწინებული 3 219 740 ლარისა, განისაზღვრება 3 089 452 ლარით, შესაბამისად 130 288 ლარით შემცირებას ექვემდებარება გადასახდელი, კერძოდ „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი შემცირდეს 130 288 ლარით.

ასევე, უნდა განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 107 900 ლარი და

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტიდან 8150 ლარი, სულ 116 050 ლარი გადატანილ იქნას „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტში.

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტიდან 1 800 ლარი გადატანილ იქნას „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში; 50 ლარი – „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის“ ხარჯებში; 2 000 ლარი – „სხვა ხარჯების“ მუხლის „მოსაკრებლების“ პუნქტში, ხოლო 25 000 ლარი – „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში;

- „სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან“ 5 000 ლარი გადატანილ იქნას „სხვა ხარჯების“ მუხლის „მოგების გადასახადის“ პუნქტში;

(თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორები: მ. მაისურაძე; ნ. წერეთელი.

დაადგინეს: ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, სტუდენტთა კონტიგენტის შემცირებისა გამო, შემცირდეს 130 288 ლარით და ფაკულტეტის განსაკარგი შემოსავალი ნაცვლად გათვალისწინებული 3 219 740 ლარისა, განისაზღვრება 3 089 452 ლარით, შესაბამისად 130 288 ლარით შემცირებას ექვემდებარება გადასახდელები, კერძოდ „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი შემცირდეს 130 288 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 107 900 ლარი და

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტიდან 8150 ლარი, სულ 116 050 ლარი გადატანილ იქნას „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტში.

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტიდან 1 800 ლარი გადატანილ იქნას „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში; 50 ლარი – „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის“ ხარჯებში; 2 000 ლარი – „სხვა ხარჯების“ მუხლის „მოსაკრებლების“ პუნქტში, ხოლო 25 000 ლარი – „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში;

- „სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან“ 5 000 ლარი გადატანილ იქნას „სხვა ხარჯების“ მუხლის „მოგების გადასახადის“ პუნქტში;(თან ერთვის).

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

4. მოისმინეს: ასოც. პროფესორი მ. წვერავა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალითა და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის რეალიზაციით, შესაძლებელია მომზადდეს ქიმიური ტექნოლოგიების მიმართულებით ძირეული ცვლილებები და დაისახოს საქართველოში ქიმიური ტექნოლოგიის განვითარების სამომავლო პერსპექტივა. იგი შემოვიდა ინიციატივით შეიქმნას მრგვალი მაგიდა, ქიმიური ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივებზე სასაუბროთ. აღნიშნა აგრეთვე, რომ მნიშვნელოვნად მიაჩნია ამ მოძრაობაში ქიმიური ტექნოლოგიების მიმართულების საწარმოთა ჩართულობა და რომ ამ მიმართულებით, გარკვეული გამოცდილება აქვს მისდამი რწმუნებულ ”საყოფაცხოვრებო

ქიმიის პროდუქტების წარმოების განვითარების ხელშეწყობ ცენტრს”. მან სათათბიროს წევრებს გასაცნობად გადასცა სპეციალური მიმართვა აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორები: ნ. წერეთელი, მ. მშვილდაძე, რ. კლდიაშვილი.

დაადგინეს: შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი მრგვალი მაგიდა-ქიმიური ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივა საქართველოში, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს ასოც. პროფესორი მ. წვერავა და მის შემადგენლობაში შევიდეს დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ”საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების წარმოების განვითარების ხელშეწყობ ცენტრის” თანამშრომელი თ. გაგნიძე. პროექტის კონსულტაცია ეთხოვოს პროფესორ ლერი გვასალიას.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

5. მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია სასწრაფოდ მოწესრიგდეს ფაკულტეტზე არსებული სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური ბაზა. აღნიშნულთან დაკავშირებით წამოაყენა წინადადება, გაერთიანებული ლაბორატორიის ხელმძღვანელებმა, წარმოადგინონ შესაძენი აპარატურის ნუსხა.

აზრი გამოთქვას პროფესორი: მ. მაცაბერიძე, მ. მაისურაძე.

დაადგინეს: დაევალოს ლაბორატორიისა და პროგრამის ხელმძღვანელებს, 10 დღის ვადაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, წარმოადგინონ ერთიანი ლაბორატორიებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების ნუსხა შესაბამისი კალკულაციით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

6. მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, ფაკულტეტებზე შიდა გრანტების დაწესება სამეცნიერო კვლევისათვის და რომ ამ მიმართულებით, გამჭირვალობის მიზნით, აუცილებელია აღდგეს სამეცნიერო სემინარების მუშაობა.

აზრი გამოთქვას პროფესორები: ნ. კუციავა, მ. მაისურაძე, თ. ცინცაძე.

დაადგინეს: დაევალოს დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, 10 დღის ვადაში წარმოადგინონ მათდამი დაქვემდებარებულ დეპარტამენტებში ჩატარებული და მიმდინარე, სამეცნიერო ნაშრომთა დასახელება და მომხსენებლის გვარი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

7. მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია სტუდენტთათვის შეიქმნას რეკრეაციული ზონა და ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად დაასახელა II და X სასწავლო კორპუსების ფოიეში და აივანზე განთავსდეს მაგიდა და სკამები.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს და კომენდანტებს, სტუდენტურ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, წარმოადგინონ II და X სასწავლო კორპუსების ფოიეებში განსათავსებელი მაგიდებისა და სკამების სასურველი მოდელი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

8. მოისმინეს პროფესორი მ. მაისურაძე: მან სათათბიროს წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა ავტორიზაციის ძირითადი მოთხოვნები და ამასთან დაკავშირებით, გააცნო ის ძირითადი პუნქტები, რაც ფაკულტეტის ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს (თან ერთვის). ამასთან წამოაყენა წინადადება ავტორიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|--|----------------|
| 2. დეკანის მოადგილე | მ. მშვილდაძე; |
| 3. ხარისხის უზრ. სამსახ. უფროსი | მ. მაისურაძე; |
| 4. აკადემიური საბჭოს წევრი | რ. კლდიაშვილი; |
| 5. აკადემიური საბჭოს წევრი | მ. მაცაბერიძე |
| 6. სენატის წევრი | გ. ლოლაძე |
| 7. მენეჯერი | გ. მჭედლიშვილი |
| 8. დეპარტამენტის უფროსი | ნ. კუციავა |
| 9. დეპარტამენტის უფროსი | დ. ნოზაძე |
| 10. დეპარტამენტის უფროსი | თ. ცინცაძე |
| 11. დეპარტამენტის წარმომადგენელი | დ. ერისთავი |
| 12. დეპარტამენტის წარმომადგენელი | მ. ცინცაძე |
| 13. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი | |

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. მაცაბერიძე. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე მომქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, უნდა განხორციელდეს მომქმედ საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე - ბიოწარმოების წესის შესახებ, (მთავრობის 2013 წლის №198 დადგენილება).

დაადგინეს: ავტორიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|--|----------------|
| 1. ფაკულტეტის დეკანი | ნ. წერეთელი; |
| 2. დეკანის მოადგილე | მ. მშვილდაძე; |
| 3. ხარისხის უზრ. სამსახ. უფროსი | მ. მაისურაძე; |
| 4. აკადემიური საბჭოს წევრი | რ. კლდიაშვილი; |
| 5. აკადემიური საბჭოს წევრი | მ. მაცაბერიძე |
| 6. სენატის წევრი | გ. ლოლაძე |
| 7. მენეჯერი | გ. მჭედლიშვილი |
| 8. დეპარტამენტის უფროსი | ნ. კუციავა |
| 9. დეპარტამენტის უფროსი | დ. ნოზაძე |
| 10. დეპარტამენტის უფროსი | თ. ცინცაძე |
| 11. დეპარტამენტის წარმომადგენელი | დ. ერისთავი |
| 12. დეპარტამენტის წარმომადგენელი | მ. ცინცაძე |
| 13. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი | |

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ასოცირებულ პროფესორ როსტომ გაფრინდაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 80 წელი, ხოლო პროფესორ რეზო კლდიაშვილს 70 წელი. მან სათათბიროს წევრებს შეახსენა იუბილარი პროფესორების დამსახურება და ღვაწლი ფაკულტეტის წინაშე და წამოაყენა წინადადება, იუბილესთან დაკავშირებით, ისინი დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით და მიეცეთ ერთი თვის თანამდებობრივი სარგო. ამასთან, აღნიშნა აგრეთვე, რომ საკონკურსო კომისიასთან აქტიური თანამშრომლობისთვის ტერმინალის სპეციალისტი მანანა ბუბაშვილი და ლაბორანტი მარინა კუკულაძე წავახალისოთ ერთი თვის ხელფასით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორები მ. მშვილდაძე, ნ. კუციავა, მ. მაისურაძე.

დაადგინეს: 1. ასოც. პროფესორი რ. გაფრინდაშვილი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და მიეცეს ერთი თვის ხელფასი (900 ლარი);

2. პროფესორი რ. კლდიაშვილი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და მიეცეს ერთი თვის ხელფასი (1200 ლარი);

3. ტერმინალის სპეციალისტს მანანა ბუბაშვილი წახალისდეს ერთი თვის ხელფასით (400 ლარი)

4. ლაბორანტს მარინა კუკულაძე წახალისდეს ერთი თვის ხელფასით (330ლარი).

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის და აკრედიტაციის მოთხოვნები ამავდროულად ითვალისწინებს ფაკულტეტის ვებ-გვერდის მოწესრიგებასაც და წამოაყენა წინადადება ფაკულტეტის ვებ გვერდის განახლებას უხელმძღვანელოს პროფესორმა ნ. კუციავამ.

დაადგინეს: ფაკულტეტის ვებ -გვერდის განახლება დაევალოს პროფ. ნ. კუციავას.
დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფესორი რ. კლდიაშვილი. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამების დაინტერესების მიზნით, აუცილებელია პროფესორ-მასწავლებლებმა მჭიდრო კავშირი დაამყარონ სკოლებთან. რაც ხელს შეუწყობს ფაკულტეტზე აბიტურიენტთა მოზიდვას.

დაადგინეს; დაევალოს პროფესორ რ.კლდიაშვილს ორგანიზება გაუკეთოს სკოლებში ფაკულტეტზე არსებული პროგრამების რეკლამირებას.
დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფესორი ნ. წერეთელი. მან სათათბიროს წევრებს გააცნო რექტორის მიერ ვიზირებული ასისტენტ მანანა მამულაშვილის განცხადება დოქტორანტურაში სწავლების ღირებულების ნაწილ-ნაწილ დაფარვასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: პროფესორები ნ. კუციავა, გ. მჭედლიშვილი, მ. მშვილდაძე.

დაადგინეს: ეთხოვოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოს, რათა დოქტორანტმა მანანა მამულაშვილმა სწავლის საფასური დაფაროს ეტაპობრივად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე